შეტანილია ცვლილებები
საქართველოს მთავრობისა
05/01/2014 N 760
განკარგულებით

საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N471 2014 წლის 20 მარტი ქ. თბილისი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №183 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, ამ განკარგულების №№1-59 დანართებით გათვალისწინებულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გამოუყოს ჯამში 49,951,407 (ორმოცდაცხრა მილიონ ცხრაას ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას შვიდი) ლარი.

2. ამ განკარგულების №№1-59 დანართებით გათვალისწინებულმა ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა უზრუნველყონ გამოყოფილი თანხების წარმართვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №183 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ადგილობრივმა თვითმმართველმა ერთეულებმა ამ განკარგულების №№1-59 დანართებით გათვალისწინებული თანხით, ასევე, კონკრეტულ სოფელში დაგეგმილი პროექტის (პროექტების) ღირებულების არა უმეტეს 100%-ით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვები განახორციელონ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*